საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/124 „7" ნოემბერი 2022 წ.

# განკარგულება

**თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რ. ტყეშელაშვილის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ**

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რომეო ტყეშელაშვილმა 2022 წლის 4 ნოემბერს განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში გადაყვანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რომეო ტყეშელაშვილი გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2022 წლის 10 ნოემბრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი